

**შპს „ციტრონ გრუპი“-ს**

**2023 წლის ფინანსური ანგარიშგება**

შპს „ციტრონ გრუპი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


შპს ციტრონ გრუპი ს.კ 445518609

ფინანსური მდგომარეობა

|                                                                                             | 31/12/2023      | 31/12/2022      | 31/12/2021      |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 1219475         | 125124          | 6231            |
| საფაქრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 3683519         | 934847          | 747859          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 2575251         | 2243259         | 1159288         |
| <b>მარაგები</b>                                                                             | <b>8709475</b>  | <b>7022639</b>  | <b>5978136</b>  |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0               | 0               | 0               |
| სხვა                                                                                        | 8709475         | 7022639         | 5978136         |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0               | 0               | 0               |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 3331736         | 679333          | 505951          |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0               | 0               | 0               |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0               | 0               | 0               |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0               | 0               | 0               |
| გუდვილი                                                                                     | 0               | 0               | 0               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 755             | 755             | 853             |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 2005836         | 1987451         | 2535218         |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0               | 0               | 0               |
| ინვესტიციები სხვა სანარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0               | 0               | 0               |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 85920           | 70060           | 53820           |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         | <b>21611967</b> | <b>13063468</b> | <b>11043356</b> |
| ვალდებულებები                                                                               |                 |                 |                 |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 0               | 0               | 0               |
| საფაქრო ვალდებულებები                                                                       | 2693306         | 2347821         | 2660496         |
| ანარიცხები                                                                                  | 0               | 0               | 0               |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 80735           | 60949           | 54671           |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0               | 0               | 0               |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 5933262         | 4543718         | 3154174         |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0               | 5420            | 65              |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 9990616         | 7076864         | 7441217         |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0               | 0               | 0               |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0               | 0               | 0               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>18697919</b> | <b>14034772</b> | <b>13310623</b> |
| საკუთარი კაპიტალი                                                                           |                 |                 |                 |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 300             | 300             | 300             |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0               | 0               | 0               |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0               | 0               | 0               |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 692531          | -971604         | -2267567        |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0               | 0               | 0               |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 2221217         | 0               | 0               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>2914048</b>  | <b>-971304</b>  | <b>-2267267</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>21611967</b> | <b>13063468</b> | <b>11043356</b> |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 13556939        | 11005202        | 8453465         |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 8046410         | 6957908         | 5869406         |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                   | 0               | 0               | 0               |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად

დირექტორი:  /გიორგი შერვაშიძე /





შპს „ციტრონ გრუპი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ციტრონ გრუპი ს.კ 445518609

| საქმიანობის შედეგები                                                                                                              | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                                                                             | 2878300    | 5784111    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 0          | 0          |
| მომსახურების განწევდან                                                                                                            | 2878300    | 2999818    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      | 0          | 2784293    |
| სხვა                                                                                                                              | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | -1686836   | -1475412   |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                | 0          | 0          |
| გადაშვების დანახარჯები                                                                                                            | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  | 0          | 0          |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                                                              | 1191464    | 4308699    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                                        | 489248     | 5          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          | -492107    | -337753    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                                        | 0          | -35712     |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                                             | 0          | 11211      |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                                  | -765887    | -857929    |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      | 0          | -6875      |
| აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | -445418    | -274786    |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                                                                     | -1214164   | -1501839   |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                                                                          | -22700     | 2806860    |
| გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:                                                                                                   |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                | 0          | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                          | 0          | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                        | 0          | 0          |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                    | 1271152    | 1271152    |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              | 0          | 0          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                                           | 2244       | 2244       |
| <b>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b>                                                   | 1250696    | 4080256    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                                         | 0          | 0          |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                                                                                     | 1250696    | 4080256    |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                                                                                 |            |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0          | 0          |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0          | 0          |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:</b>                                                                                     | 0          | 0          |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                                                                                        | 1250696    | 4080256    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | -971304    | -2267267   |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               | 0          | 0          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | 0          | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             | 0          | -2784293   |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | 2634656    | 0          |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                                                             | 2914048    | -971304    |
| კვლევისა და განვითარების ხარჯები                                                                                                  | 0          | 0          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად

დირექტორი:  /გიორგი შერვაშიძე /



## 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების

### განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ციტრონ გრუპი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445518609, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაშ მეფის ქ. N45. ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიაშვილი ქ. N53. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ფ/პ თინათინ კომახიძე (პ/ნ 61001031358), ხოლო ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ნეგზარ ბაკურიძე (პ/ნ 61007004131).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ გიორგი შერვაშიძე (პ/ნ 61001008984).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და მათი რეალიზაცია და სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას, მშენებლობას, აქტიურად ახორციელებს სამ ლოკაციაზე - საქართველო, ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიაშვილი ქ. N53; დაბა ჩაქვი, ბათუმის N 32 და ქ.ბათუმი, გრიგოლ ელიაშვილი ქ. N36ა.



1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო - შპს „ეკო გოდერძი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 445534226), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 30 იანვრიდან.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 11 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და

### გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შპს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადანწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცი/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგებს და ხარჯს, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. პროცენტული შესრულების მეთოდით).

#### **საეჭვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).



### ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:



(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

### **გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

### **მარაგები**

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

#### **გრძელვადიანი აქტივები**

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.



დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

#### გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოშვების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

### წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

### გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,6894 ლარი;

1 EUR=3.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

### 1. სხვა გრძელვადიანი აქტივები :

კომპანიის სხვა გრძელვადიანი აქტივები მთლიანად შედგება მეკავშირე სანარმოზე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხისაგან.

### 2. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 300 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად არის შევსებული.

### 3. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:



კომპანიის 2023 და 2022 წლების ამონაგები შედგებოდა სამშენებლო კონტრაქტებით მიღებული შემოსავლებისაგან და სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან. კომპანია სამშენებლო კონტრაქტებისგან მიღებულ ამონაგებს და ხარჯებს აღრიცხავს ე.წ. წილობრივი მეთოდით, რაც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისთვის არ ითვლება მიწოდებად.

#### 4. საპროცენტო ხარჯი:

კომპანიის საპროცენტო ხარჯი მთლიანად შედგება სს „თიბისი ბანკისაგან“ და სს „საქართველოს ბანკისაგან“ აღებული სესხის საპროცენტო ხარჯებისგან.

#### 5. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონია.

#### 6. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 12 დეკემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

#### 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 4 აგვისტოს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.